

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და პოზიცია

მესტიის რაიონში მიმდინარე მესტიაჭალას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

18 მაისი, 2018

რეზიუმე

2016 წლის 29 აგვისტოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს N-441 ბრძანებით დამტკიცდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N40 მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წამოდგენილ სს „სვანეთი ჰიდროს“ მდ. მესტიაჭალაზე 20 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.

ადგილობრივი მოსახლეობის წერილობითი თხოვნით, მწვანე ალტერნატივამ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნებთან მიმართებაში და აღმოაჩინა მნიშვნელოვანი დარღვევები. მიგვაჩნია, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში შეუსწავლელი და არასათანადოდ შესწავლილი მთელი რიგი საკითხების გამო, არ არსებობდა საფუძველი დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გასაცემად.

ქვემოთ წარმოგიდგენთ იმ ძირითად პრობლემურ საკითხებს, რომელიც ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნებს.

I. ალტერნატივების ანალიზი

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნით (მუხლი 6: პარაგრაფი 2), „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას;“ (პარაგრაფი 2; მუხლი 6).

გზმ ანგარიშში კი წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ არაქმედების ალტერნატივისა და ჰესის კომუნიკაციების განთავსების ალტერნატიული ვარიანტების თაობაზე, ტექნოლოგიის ალტერნატივები კი საერთოდ არ არის ნახსენები:

(გზმ ანგარიშის მე-4 თავი) „ალტერნატიული ვარიანტების შედარება და ანალიზი



გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში



მონიტორინგს ვუწევთ
საერთაშორისო საფინანსო
ინსტიტუტების საქმიანობას



თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ.39ბ, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების რეალისტური ალტერნატიული ვარიანტებიდან შეიძლება განხილულ იქნას შემდეგი:

1. არაქმედების ალტერნატივა;
2. ჰესის კომუნიკაციების განთავსების ალტერნატიული ვარიანტები“

შესაბამისად, აღნიშნული საკითხი წარმოადგენს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების უხეშ დარღვევას.

II. პროექტის საჭიროება

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნით (მუხლი 6: პარაგრაფი 2), „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას;

თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას“.

მართალია, გზმ ანგარიშში წარმოდგენილია შემდეგი ქვეთავები „6.12.2.1 ზემოქმედება მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე“; „6.12.2.2 დასაქმებასთან დაკავშირებული ზემოქმედებები“; „6.12.2.3 წვლილი ეკონომიკაში“ და „4.1 არაქმედების ალტერნატივა“, თუმცა აღნიშნულ ქვეთავებში წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ზოგადია და დაუსაბუთებელი, შეუძლებელია ამ ინფორმაციით როგორც ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასება, ისე პროექტის ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასება.

მაგალითად, ისეთი შეფასებები როგორცაა:

1. „ჰესის მშენებლობის ფაზაზე (დაახლოებით 2,5 წელი) სულ დასაქმებული იქნება დაახლოებით 80 კაცი, ხოლო ექსპლუატაციის ფაზაზე 25–30 კაცი“, მაშინ როდესაც გაუგებარია დასაქმების პერიოდი, ადგილობრივების წილი დასაქმებულთა შორის და გრძელვადიანი ზემოქმედება; და

2. „ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ჰესის მშენებლობაზე გამოყენებული იქნება სამშენებლო მასალების ადგილობრივი რესურსები, რაც ხელს შეუწყობს სამშენებლო მასალების წარმოების სექტორის გააქტიურებას. ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ ენერჯისტიკა მიიღებს დამატებით ელექტროენერჯიას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერჯეტიკული დამოუკიდებლობის მიღწევისათვის“. თუმცა არ არის წარმოდგენილი კონკრეტული ანალიზი და დეტალური შეფასება კონკრეტულად რა სარგებელზეა საუბარი;

არ არის წარმოდგენილი კონკრეტული შეფასებები, თუ რა ზემოქმედება ექნება პროექტს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ტურიზმზე, მათ შორის ეკოტურიზმზე ა.შ. არ არის გამოყენებული ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტი, როგორცაა დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი, რის საფუძველზე ნათელი წარმოდგენა შეექმნებოდა გადაწყვეტილების მიმღებს იმის თაობაზე, თუ რა სარგებელს მივიღებთ პროექტისგან და არის თუ არა ის საპირფონე იმ ზიანისა, რასაც აღნიშნული პროექტი აყენებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოს. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმდენად ზოგადია, რომ ძნელია წარმოდგენა შეგვექმნას თუნდაც პროექტის ენერჯეტიკული სარგებლის შესახებ.

შესაბამისად, დოკუმენტში პროექტის ეკონომიკურ-ეკოლოგიური შეფასება რეალურად არ არის ჩატარებული, რაც ზემოთაღნიშნული დებულების მოთხოვნების უხეში დარღვევაა.

III. გეოდინამიკური პროცესები

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნით (მუხლი 6: პარაგრაფი 2), „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგს:

„ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას“;

შესაბამისად, გზმ ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტთან დაკავშირებული შესაძლო ზემოქმედებების დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები.

გზმ ანგარიშში აღწერილია ის გეოდინამიკური პროცესები, რომელიც შეიძლება განვითარდეს საპროექტო ტერიტორიაზე. კერძოდ, გზმ ანგარიშის 3.2.2.7 „გეოდინამიკური პირობები“ თავში წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

„მესტიაჭალა-1“ ჰეს-ის სამშენებლო ტერიტორიაზე ღვარცოფული მოვლენები დამახასიათებელია ძირითადი მდინარეებისათვის (მესტიაჭალა, მელხურა). ღვარცოფებს, ჩვეულებრივად, წყალ-ქვიანი ნაკადის სახე აქვს, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მდინარეების ხეობების ზედა ნაწილებში მათ ფსკერზე დაგროვილია ბევრი ფხვიერი შეუკავშირებელი მასალა (ხვინჭა, ლორღი, ლოდები, შევსებული ქვიშნარ-თიხნარით), რაც ხშირად მდინარეთა კალაპოტებში მეტ-ნაკლები სიდიდის მეწყერების ჩამოწოლას იწვევს. მეწყერისაგან შეფუბებული გარკვეული მოცულობის წყალი, გაარღვევს რა შემდგომ შექმნილ ბარიერს, კატასტროფული ღვარცოფული ნაკადის სახით მოექსნება დიდი დახრილობის მქონე კალაპოტში, რომელსაც დიდი დამანგრეველი ძალა გააჩნია, განსაკუთრებით მასში მსხვილი ლოდების შემცველობის შემთხვევაში. ღვარცოფული მოვლენების თვალსაზრისით გასარკვევია აგრეთვე სულ ახლომდებარე მყინვარების როლი ასეთ მოვლენებში.

„აქვე უნდა ითქვას, რომ წყალდიდობებისა და ღვარცოფების ზედავლენის თვალსაზრისით განსაკუთრებით სენსიტიური „მესტიაჭალა-1“-ჰესის საგენერატორო შენობის უბანია, რომელიც მდინარეთა შეერთების ადგილია და ერთდროულად შესაძლოა მოხდეს ორივე მდინარის ერთდროული წყალდიდობის ან ღვარცოფული გავლენის ქვეშ.“

გზმ ანგარიშის „6.7.2.2.2 ზემოქმედება მდ. მესტიაჭალას და მდ. ჭალაათის წყალშემკრებ აუზში არსებულ მყინვარებზე“ თავის მიხედვით კი:

„ხეობაში ღვარცოფული პროცესების განვითარების შემთხვევაში საპროექტო წყალმიმღები არ გამოიწვევს ღვარცოფული მასის შეკავებას და დამბის ზედაპირიდან სრული მოცულობით გატარდება ქვედა ბიეფში. გამომდინარე აღნიშნულიდან ღვარცოფული ჩამონადენი დააზიანებს სათაო ნაგებობებს, ხოლო მდინარის კალაპოტში სათაო ნაგებობების არსებობა არ გაზრდის სტიქიური მოვლენის ინტენსივობას.“

ხოლო დასკვნის სახით გზმ ანგარიშში აღნიშნულია, რომ:

„გეოდინამიკური თვალსაზრისით როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის პერიოდებში, ჰეს-ის ნაგებობებს საფრთხეს უქმნის ტერიტორიაზე მიმდინარე ეროზიული, ღვარცოფული, ქვაცვენიითი და კლდეზვავური მოვლენები, აგრეთვე თოვლის ზვავები ზამთარ-ადრე გაზაფხულის პერიოდში. მნიშვნელოვანი ეროზიული და ღვარცოფული მოვლენები მოსალოდნელია მდ. მესტიაჭალასა და მდ. მელხურაზე, ხოლო შედარებით უმნიშვნელო ასეთივე მოვლენები მოსალოდნელია მათ გვერდითა ხეობებზე.“

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საპროექტო არეალი წარმოადგენს გეოდინამიკური თვალსაზრისით ძალზე აქტიურ ზონას და მნიშვნელოვანია შესაბამისი დეტალური შემარბილებელი

ლონისძიებების განსაზღვრა (თუ საერთო შესაძლებელია). ნაცვლად დეტალური შემარბილებელი ღონისძიებებისა გზმ ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი ყოველგვარი შეფასების გარეშე: „ჰეს-ის პროექტში გათვალისწინებულია ეროზიისაგან ნაგებობათა დაცვის ღონისძიებები საამისოდ კრიტიკულ ადგილებში, კერძოდ: კაშხლის და წყალმიმღების განთავსების გასწორში, როგორც ზედა, ასევე ქვედა ბიეფში დაგეგმილია ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა (ბეტონის კედლები და გაბიონები). ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობა დაგეგმილი ძალური კვანძის განთავსების მიმდებარედ როგორც მდ. მესტიაჭალაზე ასევე მდ. ჭალაათზე, რადგან საპროექტო ტერიტორია შესაძლებელია ორივე მდინარის ღვარცოფული ჩამონადენების გავლენის ზონაში მოექცეს.“

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მსგავსი ზოგადი ჩანაწერი მიმართულია დებულების მოთხოვნის ფორმალური შესრულებისკენ და არ წარმოადგენს რეალურ შემარბილებელ ღონისძიებას. მსგავსი ჩანაწერის ფორმალურობა დაადასტურა 2017 წლის აგვისტოში მომხდარმა ბუნებრივმა კატასტროფამ. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩანაწერი წარმოადგენს დებულების მოთხოვნის დარღვევას.

IV. დეტალური შესწავლების არარსებობა

გზმ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი დეტალური კვლევები უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რასაც ადასტურებს თავად ანგარიშში არსებული ჩანაწერებიც. შესაბამისად, შეიძლება ითქვას რომ პროექტი დეტალური კვლევების გარეშე დაიწყო:

(„3.2.2.7 გეოდინამიკური პირობები) „წყალდიდობებისას მდინარეების დონის აწევის სიდიდე და ამ დროს ფსკერისა და ნაპირების წარეცხვის ინტენსივობა, ფსკერის ნალექების შედგენილობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, ჰიდროლოგიურ-ჰიდრაულიკური გაანგარიშებებით არის შესაძლებელი და ეს გათვალისწინებული უნდა იქნას სამშენებლო ტერიტორიის კვლევის მომდევნო ეტაპებზე.“

თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს „კვლევის მომდევნო ეტაპებს“.

გზმ ანგარიშიდან ირკვევა, რომ დეტალური და სრულფასოვანი კვლევები არ ჩატარებული არც გრუნტზე, სადაც უნდა მოეწყოს ჰესის საპროექტო ნაგებობები. გზმ ანგარიშის „3.2.2.6.2 არაკლდოვანი გრუნტები“ თავის მიხედვით,

„ვინაიდან „მესტიაჭალა-1“ ჰესის ტერიტორიაზე ფენა-7-დან ნიმუშები ვერ იქნა აღებული და **ლაბორატორიულად გამოკვლეული**, მისი ფიზიკური და მექანიკური თვისებების ძირითადი მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები, მისი შედგენილობისა და მდგომარეობის გათვალისწინებით, მიღებულია შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.“

აღნიშნული ჩანაწერები კი ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების არაერთ მოთხოვნას:

დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების აღბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას;

ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე);

ჟ) გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს;

V. სხვა გზმ ანგარიშებიდან დაკოპირებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი

V. 1. კუმულაციური ზემოქმედება

„გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა „ზ) ნარჩენი (კუმულაციური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას;“ (მუხლი 6: პარაგრაფი 2).

გზმ ანგარიშის „6.13 კუმულაციური ზემოქმედება“ თავი ეძღვნება სწორედ აღნიშნულ საკითხს. ანგარიშის გაცნობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ სახელების შეცვლის გარდა აღნიშნული შეფასება სიტყვა-სიტყვით არის კოპირებული სხვა გზმ ანგარიშებიდან, კერძოდ:

ჩანაწერი მესტიაჭალა ჰესის გზმ ანგარიშში:

სამუშაოების პროცესში მდინარის წყლის ხარისხის გაუარესება მოსალოდნელია ნარჩენების (მათ შორის ჩამდინარე წყლების) არასწორი მართვის და მდინარის კალაპოტში სამშენებლო სამუშაოებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების მინიმუმიზაცია შესაძლებელი იქნება მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გათვალისწინებით.

ჩანაწერი ხადორი 3 ჰესის გზმ ანგარიშში:

სამუშაოების პროცესში მდინარის წყლის ხარისხის გაუარესება მოსალოდნელია ნარჩენების (მათ შორის ჩამდინარე წყლების) არასწორი მართვის და მდინარის კალაპოტში სამშენებლო სამუშაოებისას გარემოსდაცვითი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების მინიმუმიზაცია შესაძლებელი იქნება მიზანმიმართული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გათვალისწინებით.

ჩანაწერი მესტიაჭალა ჰესის გზმ ანგარიშში: ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე:

საპროექტო კასკადის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნებით არ გამოირჩევა და მაგრამ სამშენებლო სამუშაოები ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან იქნება დაკავშირებული. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფართობის ტერიტორიებზე ადგილი იქნება მცენარეული საფარის განადგურებას, ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას, ჰაბიტატების განადგურებას და სხვა. გამომდინარე აღნიშნულიდან ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.

ხადორი 3 ჰესი: ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე:

საპროექტო ჰესის მშენებლობისათვის შერჩეული ტერიტორიები ბიომრავალფეროვნებით არ გამოირჩევა და მაგრამ სამშენებლო სამუშაოები ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან იქნება დაკავშირებული. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ფართობის ტერიტორიებზე ადგილი იქნება მცენარეული საფარის განადგურებას, ცხოველთა საბინადრო ადგილების მოშლას, ჰაბიტატების განადგურებას და სხვა. გამომდინარე აღნიშნულიდან ბიოლოგიურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს.

ხადორი 3 გზმ: სოციალურ ეკონომიკური გარემო:

„ზოგადად ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალურ- ეკონომიკურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება დაგეგმილი ჰესის მშენებლობის ფაზაზე დადებითი ხასიათის იქნება, შემდეგი გარემოებების გამო:

- სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის შეიქმნება გარკვეული რაოდენობის (დაახლოებით 70-80 ერთეული) დროებითი სამუშაო ადგილები, რომლებზედაც ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მუშა ძალა (დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის აბსოლუტური უმრავლესობა, რაც თვით საქმიანობის განმხორციელებელი კომპანიების მნიშვნელოვანი ინტერესია);
- ჰესის მშენებლობის პროცესი დაკავშირებული იქნება დამხმარე ბიზნეს საქმიანობების (სამშენებლო მასალების წარმოება, ვაჭრობის და მომსახურების სფერო, კვების პროდუქტების წარმოება და სხვა) გააქტიურებასთან. შესაბამისად მოსალოდნელია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესება;
- პროექტების განხორციელება დაკავშირებული იქნება ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან და თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტი დღემდე სახელმწიფო დოტაციაზეა, ადგილი იქნება მნიშვნელოვან დადებით ზემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ არც მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან სამშენებლო მოედნები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული საცხოვრებელი ზონებიდან. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საპროექტო ჰესების ობიექტები მნიშვნელოვან მანძილითაა დაცილებული ერთმანეთისაგან და მოსახლეობის შემაწახებელი ფაქტორების კუმულაციური ეფექტი ნაკლებად სავარაუდოა.“

მესტიასკალა ჰესის გზშ: სოციალურ ეკონომიკური გარემო:

„ზოგადად მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურ- ეკონომიკურ გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება დაგეგმილი კასკადის მშენებლობის ფაზაზე დადებითი ხასიათის იქნება, შემდეგი გარემოებების გამო:

- სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის შეიქმნება გარკვეული რაოდენობის (დაახლოებით 160 ერთეული) დროებითი სამუშაო ადგილები, რომლებზედაც ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მუშა ძალა (დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის აბსოლუტური უმრავლესობა, რაც თვით საქმიანობის განმხორციელებელი კომპანიების მნიშვნელოვანი ინტერესია);
- ჰესების მშენებლობის პროცესი დაკავშირებული იქნება დამხმარე ბიზნეს საქმიანობების (სამშენებლო მასალების წარმოება, ვაჭრობის და მომსახურების სფერო, კვების პროდუქტების წარმოება და სხვა) გააქტიურებასთან. შესაბამისად მოსალოდნელია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესება;
- პროექტების განხორციელება დაკავშირებული იქნება მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან და თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მუნიციპალიტეტი დღემდე სახელმწიფო დოტაციაზეა, ადგილი იქნება მნიშვნელოვან დადებით ზემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ არც მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები არ იქნება მნიშვნელოვანი, რადგან სამშენებლო მოედნები მნიშვნელოვანი მანძილითაა დაცილებული საცხოვრებელი ზონებიდან. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ საპროექტო ჰესების ობიექტები მნიშვნელოვან მანძილითაა დაცილებული ერთმანეთისაგან და მოსახლეობის შემაწახებელი ფაქტორების კუმულაციური ეფექტი ნაკლებად სავარაუდოა.“

ექსპლუატაციის ეტაპი

ხადორი 3 ჰესი: ზემოქმედება წყლის ხარისხზე:

„საპროექტო ჰესების ოპერირების ფაზაზე კუმულაციურ ზემოქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს მდინარეების წყლის ხარისხის გაუარესებასთან. ჰესების ოპერირების ფაზაზე წყლის გარემოს დაბინძურება, როგორც წესი დაკავშირებულია ნარჩენების არასწორ მართვასთან ან საწვავის და ზეთების შენახვა/გამოყენების წესების დარღვევასთან. შესაბამისად ამ ზემოქმედების მინიმუმაცია შესაძლებელია სწორი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის პირობებში.“

მესტიაჭალა ჰესი: ზემოქმედება წყლის ხარისხზე:

„საპროექტო ჰესების ოპერირების ფაზაზე კუმულაციურ ზემოქმედება შეიძლება დაკავშირებული იყოს მდინარეების წყლის ხარისხის გაუარესებასთან. ჰესების ოპერირების ფაზაზე წყლის გარემოს დაბინძურება, როგორც წესი დაკავშირებულია ნარჩენების არასწორ მართვასთან ან საწვავის და ზეთების შენახვა/გამოყენების წესების დარღვევასთან. შესაბამისად ამ ზემოქმედების მინიმუმაცია შესაძლებელია სწორი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის პირობებში.“

ა.შ.

ეს კი ასევე ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნას.

V.2. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება

მესტიაჭალა ჰესის ანგარიშის შემდეგი თავები: “3.3.2.1.2 ფლორისა და მცენარეულობის აღწერისა და ეკოსისტემებზე და ჰაბიტატებზე პროექტის ზემოქმედების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომის შესახებ” და „6.9.2.3 შემარბილებელი ღონისძიებები“ სიტყვა-სიტყვით მეორდება არაერთ გზშ ანგარიშში (მაგ. შავი ზღვის ელექტროგადაცემის პროექტის, ლარსი ჰესის, ყაზბეგი ჰესის შუახევი ჰესის, ნენსკრა ჰესის გზშ ანგარიშებში)

ამასთანავე, ამ თავებში აღწერილი ეკო-კომპენსაციის მიდგომა არ არის გამოყენებული გზშ-ს შემდგომ ნაწილებში და როგორც წესი არც ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი არანაირი რეალური საკომპენსაციო და საკონსერვაციო გეგმა, რაც ეწინააღმდეგება გზშ ანგარიშის მომზადების წესსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილ დოკუმენტში გადმოტანილია ტექსტი სხვა გზშ ანგარიშებიდან ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით: „წმინდა მოგებისა“ და „ჰაბიტატ-ჰექტარის“ შეფასების მეთოდები, ჰაბიტატის აღდგენა, დარგვა, თესლების შეგროვება, საკონსერვაციო ცენტრებში გადატანა და ა.შ. ტრადიციულად, არ არის ნაჩვენები, თუ რომელ საკონსერვაციო ცენტრებში იგეგმება მცენარეების გადატანა და რომელი სახეობების; ეს მიუთითებს იმაზე, რომ საკითხი ფორმალურადაა მოხსენიებული გზშ ანგარიშში. არ არის ნათელი, იღებს თუ არა პროექტის განმახორციელებელი ვალდებულებას, რომ გამოიყენებს ამ მეთოდებს და რომელ სახეობებთან და ჰაბიტატებთან მიმართებაში. როგორც წესი, სამინისტროს არასოდეს არ მოუხდებია გზშ ანგარიშებით აღებული ამგვარი პირობების შესრულების მონიტორინგი და არც მათი შეუსრულებლობის გამო მოუთხოვია პასუხი დეველოპერისთვის (მაგ. ლარსი-ჰესი, ყაზბეგი-ჰესი და ა.შ.). გზშ ანგარიშების შედგენის, მათზე დადებითი დასკვნის გაცემისა და დარღვევების იგნორირების პრაქტიკა კი ინტერესთა კონფლიქტის სერიოზულ ვარაუდს აჩენს.

აღნიშნული კი ეწინააღმდეგება „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების (მუხლი 6 პარაგრაფი 2) მოთხოვნას: ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის

შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას;

აღსანიშნავია ისიც რომ შემარბილებელი ღონისძიებების ქვეთავში (6.9.2.3 შემარბილებელი ღონისძიებები) წარმოდგენილი ინფორმაცია დაუსაბუთებელია, კერძოდ:

„სამშენებლო მოედნების მცენარეული საფარისაგან გასუფთავების პროცესში, დაცული სახეობების გამოვლენის შემთხვევაში, მათი გარემოდან ამოღება უნდა მოხდეს „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის, ვ) ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეთანხმებით.“

ნახსენები კანონის მიხედვით, ამოღება შეიძლება მოხდეს „ ვ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებისას“, თუმცა გაუგებარია, წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღების ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, რომელს შეესაბამება ეს შემთხვევა. კერძო კომპანიის ფინანსური ინტერესი - ჰესის მშენებლობა არ განეკუთვნება „განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას“.

VI. წინააღმდეგობრივი ჩანაწერები

დაკოპირებული ქვეთავებისა და ჩანაწერების გარდა გზშ ანგარიშში ვხვდებით წინააღმდეგობრივ ჩანაწერებსაც. მაგალითად, მაშინ როდესაც „3.3.2.4.1 მდინარე ენგურის იქთიოფაუნა და ჰიდროფაუნა“ ქვეთავში გაკეთებულია ჩანაწერი, რომ

„მიუხედავად იმისა, რომ კაშხლის ქვემოთ ენგურის შენაკადები მაგანა და ჯუმი გარკვეულ წილად ავსებს წყლის მასას, ის მაინც არასაკმარისია მდინარის შუა და ქვემო წელში ჰიდროფაუნის და მათ შორის, იქთიოფაუნის ისტორიული კომლექსის არსებობისთვის, განსაკუთრებით ანადრომული თევზების (ზუთხისებრნი და ორაგულისებრნი) მიგრაციებისათვის (ბერაძე, 1986)“.

„6.9.4 ზემოქმედება იქთიოფაუნაზე“ ქვეთავში კი საუბარია ჰესის გამო შექმნილ არახელსაყრელ პირობებზე:

„კაშხლის არსებობის გამო, ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება არეალის ფრაგმენტაციას/ზარიერის ეფექტს, რომელიც ნეგატიურ ზეგავლენას იქონიებს, როგორც კაშხლის ქვემო, ასევე ზემო უბანში არსებულ ნაკადულის კალმახის დასახლებაზე. კაშხლებიდან - ჰესის ნამუშევარი წყლის ჩაშვების ადგილამდე, სანიტარიული/ეკოლოგიური ნაკადის მოქმედების უბნებზე ადგილი ექნება ნაკადულის კალმახის არსებობისთვის მეტად არახელსაყრელი გარემო პირობების განვითარებას.“

მოულოდნელად „6.7.2.2.1 ზემოქმედება მდ. მესტიაჭალას ჰიდროლოგიურ რეჟიმზე“ ქვეთავში გაკეთებულია დასკვნა, რომ ვინაიდან

„ჰიდროენერგეტიკული გაანგარიშება მომზადებულია ავსტრიული საპროექტო ორგანიზაციის მიერ, შესაბამისად სათაო ნაგებობების ქვედა ბიეფში გასატარებელი მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი განსაზღვრულია ავსტრიაში მოქმედი მეთოდოლოგიის გამოყენებით (ავსტრიის ფედერალური კანონების მაცნე II-2010 წლის 29 მარტის გამოშვება N99)“

გაკეთებულია დასკვნა, რომ დადგენილი ეკოლოგიურ ხარჯის პირობებში კაშხლის ქვედა ბიეფში მოზინადრე ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

გარდა იმისა რომ თავად ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ე.წ. „ავსტრიაში მოქმედი მეთოდოლოგიების შესახებ“ საკამათოა, წინააღმდეგობრივია სხვადასხვა თავში წარმოდგენილი

მტკიცებები და შესაბამისად, არღვევს „საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონს „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველების დაღუპვა, რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა“ (მუხლი 11. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა დაცვა“).

რაც შეეხება თავად ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრის საკითხებს „ავსტრიაში მოქმედი მეთოდოლოგიების შესახებ“, გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია ავსტრიაში ისევე როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში ეფუძნება წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებს და თითოეული მდინარისთვის თუ მისი შენაკადისთვის ისაზღვრება ინდივიდუალურად მდინარის ეკოლოგიური სტატუსიდან გამომდინარე (იხილეთ ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის გზამკვლევი¹).

შესაბამისად, მტკიცება იმისა რომ თურმე ავსტრიაში „ყველაზე მაღალი დაცვითი ღირებულების სახეობისათვის წყლის მინიმალურ დონე განსაზღვრულია 0.3 მ, ხოლო მინიმალური ხარჯი 0.4 მ³/წმ“ და მისი გამოყენება ხდება ყველა მდინარისთვის არ წარმოადგენს სინამდვილეს. აღსანიშნავია, რომ არც გზმ ანგარიშში არ არის მითითებული ხელმისაწვდომი წყარო აღნიშნული მტკიცების გადასამოწმებლად, გარდა მითითებული „ავსტრიის ფედერალური კანონების მაცნე II-2010 წლის 29 მარტის გამოშვება N99“, რომლის მოძიება ვერ მოხერხდა ჩვენს მიერ.

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი ხარჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული მდინარეთა სააუზო მართვის გეგმებსა და იქ განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მიზნებთან. დირექტივის ძირითადი მიზანი კი არის კარგი ეკოლოგიური სტატუსისა (მაღალი ეკოლოგიური ღირებულების წყლის ობიექტებისთვის) და კარგი ეკოლოგიური პოტენციალის მიღწევა (მოდიფიცირებული წყლის ობიექტებისთვის).

თვალსაჩინოებისთვის, აღნიშნული ცხრილში წარმოდგენილია დასატოვებელი წყლის ხარჯი წყალაღების შემდეგ, რაც პროექტისთვის შეადგენს მინიმალურ 0.43 მ³/წმ-ს.

თვე	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
მდინარის ბუნებრივი ხარჯი თვეების მიხედვით												
საშუალო თვიური ხარჯები, მ ³ /წმ	1.05	1.01	1.19	3.05	8.14	14.88	21.96	20.70	12.89	5.85	2.66	1.30
ტერგეტიკული ხარჯი თვეების მიხედვით												
საშუალო თვიური ტერგეტიკული ხარჯები, მ ³ /წმ	0.45	0.46	0.46	0.88	1.05	2.75	3.42	2.75	2.00	1.39	0.46	0.46
ხარჯი დ. შესტის წყალმომარაგებისთვის												
სასმელი წყლის ხარჯი, მ ³ /წმ	0,027	0,027	0,027	0,027	0,027	0,027	0,027	0,027	0,027	0,027	0,027	0,027
ეკოლოგიური ხარჯი თვეების მიხედვით												
ეკოლოგიური ხარჯი, მ ³ /წმ	0,43	0,43	0,43	0,85	1,23	4,20	8,32	6,58	2,59	1,37	0,43	0,43
ეკოლოგიური ხარჯი, %	40.5	42.5	36.1	27.8	15.1	28.2	37.9	31.8	20.1	23.4	16.2	33

¹ http://ec.europa.eu/environment/water/water-framework/facts_figures/guidance_docs_en.htm

დაახლოებით ანალოგიური წყლის ხარჯი არის დარჩენილი ყაზბეგი ჰესის და არაგვი ჰესის შემთხვევაში, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სურათებზე:



ცარიელი თევზსავალი, არაგვი ჰესი



10% წყლის ნაკადი კალაპოტში ყაზბეგი ჰესი, ხდის ხეობა

ზემოაღნიშნულის გარდა კითხვის ნიშნებს ბადებს თავად გზშ ანგარიშში, რომელზეც გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, თუ როგორ მოხდა ისეთი „მექანიკური“ შეცდომების გაპარვა, როგორც მოხდა „5.2.2.1 თევზსავალი“ ქვეთავში.

„თევზსავალის ექსპლუატაცია განხორციელდება ავტომატურ რეჟიმში. თევზსავალის გასასვლელი აუზების ფსკერს ექნება უხეში ზედაპირი, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული ქვების განლაგებით. ქვები მოპოვებული იქნება მდ. რიონის კალაპოტიდან.“

აღნიშნული ჩანაწერით ირკვევა, რომ გზშ ანგარიში ერთის მხრივ, არ გადამოწმდა არც თავად დამკვეთის (ინვესტორი) და შემსრულებლის (საკონსულტაციო ჯგუფი, გზშ-ს ავტორი) მიერ, თუმცა მეორეს მხრივ, მისი „აღმოჩენა“ არც გადაწყვეტილების მიმღების მიერ მოხდა, ისე გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

გაუგებარია ამავე თავში გაკეთებული ჩანაწერი, რომ „ჰესის ექსპლუატაციის პირველ და მეორე წელს განხორციელდეს თევზსავალი და თევზამრიდი კონსტრუქციის ეფექტურობის კვლევა. თუ კვლევა ვერ დაადასტურებს ნაკადულის კალმახის თევზსავალზე გადასვლის ფაქტებს, ასევე გამოვლინდება თევზამრიდში კალმახის ლიფსიტებისა და ახალმოზარდეულის მოხვედრის ფაქტები, მაშინ აუცილებელი იქნება ყოველწლიურად მდ. მესტიაჰალაში და ენგურში გაშვებულ იქნას არანაკლებ 50 ათასი ცალი ნაკადულის კალმახის ლიფსიტა (ეგზოგენურ კვებაზე გადასული ფორმა)“.

დასკვნა

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, ჩვენთვის გაუგებარია, რისი მიხედვით იხელმძღვანელა გადაწყვეტილების მიმღებმა, როდესაც გასცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე. ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი გზშ ანგარიში პირდაპირ არღვევს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების არაერთ მუხლს და ამასთან მოიცავს არაერთ წინააღმდეგობრივ თუ კოპირებულ ინფორმაციებს სხვა გზშ ანგარიშებიდან.